Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#4, თებერვალი, 2018

ქართული ტელემედიის ეთიკური პრობლემები

ხატია იმერლიშვილი, ინგა ფუტკარაძე

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: inga.putkaradze.16@gmail.com

აბსტრაქტი

მედიის თვითრეგულირების არსებობა-განვითარების ტენდენცია ქვეყანაში სახელმწიფოებრივი და ინდივიდუალური თავისუფლების ხელშემწყობია. სწორედ მისი დახმარებითა და წახალისებით სახელმწიფოში შესაძლებელია პროფესიული სტანდარტების დაცვა-გაძლიერება.
თვითრეგულირების ორგანოების საშუალებით ხალხს ეძლევა შესაძლებლობა იყოს არამხოლოდ ინფორმაციის მიმღები, არამედ ერთგვარი კორექტორი. მისი ხმა ფასდება, ხოლო აზრს ითვალისწინებენ.
რაც უფრო ნაკლებია სახელმწიფოს ჩარევა მედიაში, მით უფრო დამოუკიდებელი და სანდოა ის.
ეთიკურ ჭრილში, განვიხილეთ ქართული ჟურნალისტიკის პარადიგმები და ფოკუსირება მოვახდინეთ ეთიკური ნორმების დაცვა - არ დაცვის საკითხზე. გამოვიყენეთ მონაცემთა შინაარსობრივი კონტენტ-ანალიზი, შემთხვევის ანალიზი და ფოკუს ჯგუფი, რომელთა ანალიზის საფუძველზე გამოგვევლინა თუ რა სიხშირით ხდებოდა ჟურნალისტისა და ეთიკის ქარტიის მიერ ეთიკური ჩარჩოების გათვალისწინება.

ასევე გამოვიყენეთ შეპირისპირების მეთოდი და გავაკეთეთ კომპარატივისტულ ანალიზი უცხოურ და ავთენტურ ეთიკურ ნორმებზე დაყრდნობით.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული კვლევით დადასტურდა ჩვენი ჰიპოთეზა, რომ ქართულ სატელევიზიო სივრცეში ტრანსლირებული გადაცემები ხშირ შემთხვევაში არ იცავენ ეთიკური ნორმებსა და აქცენტირებას ახდენენ სატელევიზიო რეიტინგის შენარჩუნებაზე.

საკვანძო სიტყვები

მედია, ეთიკა, თვითრეგულირება, ეთიკის ქარტია, ჟურნალისტური ქცევის კოდექსი.

შესავალი

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ერთ–ერთი ძირითადი ფუნდამენტური უფლებაა. ჟურნალისტის ნებისმიერი პროფესიული უფლება– მოვალეობა გამომდინარეობს საზოგადოების უფლებიდან, იყოს ინფორმირებული მოვლენებისა და თვალსაზრისების შესახებ. ფსიქოლოგების განმარტებით თვითრეგულირება არის კონტროლის დაწესება საკუთარ ქმედებასა (მაგალითად, იმპულსურობის შემცირება) და ემოციებზე (მაგალითად, პირადი სიმპათიების გამომჟღავნების რეგულირება).

განვითარებული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აუცილებელ წინაპირობად განვითარებული და დამოუკიდებელი მედია სივრცე დგას. თუმცაღა, დამოუკიდებლობა არ ნიშნავს თვითნებობას. ეს არის ცნება, რომელიც დიდწილად ემყარება პასუხისმგებლობისა და მოვალეობების ადეკვატურ აღქმა-შეფასებას. სწორედ ამ ორი ცნების ჯეროვანი გადააზრების შედეგად, საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მედიამ საკმაოდ პროგრესული ნაბიჯები გადადგა. შეიქმნა თვითრეგულირების ინსტიტუციონალური მექანიზმები. სწორედ მედიის დახმარებითა და წახალისებით სახელმწიფოში შესაძლებელია პროფესიული სტანდარტების დაცვა-გაძლიერება. მაგალითად, ისეთი, ფაქტორებისა, როგორიცაა სიზუსტისა და სამართლიანობის დაცვა, მიუკერძოებულობა ან ბალანსის შენარჩუნება. თვითრეგულირების ორგანოების საშუალებით ხალხს შესაძლებლობა აქვს იყოს არამხოლოდ ინფორმაციის მიმღები, არამედ ერთგვარი კორექტორი. მისი ხმა ფასდება, ხოლო აზრს ითვალისწინებენ.

თავისუფალი, დამოუკიდებელი მედია სივრცის არსებობა, რომელიც თავადვე ქმნის საკუთარ დღის წესრიგს, სახელმწიფოს დემოკრატიულობისთვის სასურველია, ამიტომ რაც უფრო მეტია ქვეყანაში მაუწყებლები, რომლებსაც შესწევთ ძალა აკონტროლონ საკუთარი თავი, დაიცვან სტანდარტები, არ ხელყონ ადამიანის ძირითადი უფლებები და არ შელახონ ეთიკური ნორმები, მით უფრო ძლიერი და განვითარებულია საზოგადოებაც. მრავალფეროვანი, დაბალანსებული, პროფესიონალური და პლურალისტული მედია, რომელიც მაკონტროლებელი ინსტიტუტის ფუნქციას ასრულებს, საქართველოში 1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იკიდებს ფეხს. (ქარტია, 2013)

2009 წლის 12 მარტს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" სახით. "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლითა და "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" მე-7 მუხლის საფუძველზე, მაუწყებლებს განესაზღვრათ ვალდებულება, რომ შეექმნათ თვითრეგულირების მექანიზმი. (კომისია, 2009) კოდექსის მიზანია ყველა სახის მაუწყებელი, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი მაუწყებელი, თანაბარი პასუხისმგებლობით მოეკიდოს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვასა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობისა და ადამიანური ღირებულებების დასაცავად, საზოგადოებრივი თანხმობისა და ტოლერანტობის განსამტკიცებლად.

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით მაუწყებელმა უნდა შეიმუშავოს თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც შეესაბამება მაღალ პროფესიულ სტანდარტებს. ასევე იგი ითვალისწინებს საჩივრის ეფექტიანად განხილვის გამჭვირვალე პროცედურებსა და მათზე დროულ, დასაბუთებულ რეაგირებას. ბოლო ეტაპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან რეალური

შედეგი, რეზონანსი სწორედ რეაგირების დროს გვხვდება: რა გააკეთა მაუწყებელმა მაშინ, როდესაც საჩივრის დაკმაყოფილება - არ დაკმაყოფილების საკითხი გადაწყდა. თუ კი რაიმე ლაფსუსს აქვს ადგილი, პასუხისმგებლობის მქონე მედია ბოდიშს იხდის და ასწორებს გადაცდომას, რაც მათივე სიძლიერის მაჩვენებელია და არა სისუსტის. ქართულ რეალობაში ეთიკური ნორმების დაცვის საკითხი საკმაოდ საინტერესო და აქტუალური თემაა. საქართველოში 2009 წელს შეიქმნა ჟურნალისტიკური ეთიკის ქარტია, რომლის მიზანი და დანიშნულება ჟურნალისტიკური ეთიკური სტანდარტების დანერგვა, პოპულარიზაცია და გაუმჯობესებაა. (ქარტია, Qartia.ge, 2009)

ჟურნალისტს საკმაოდ დიდი ვალდებულებები აკისრია საზოგადოების წინაშე. უფრო მარტივად , რომ ვთქვათ პირობითად ჟურნალისტებს აკისრიათ „სამოქალაქო პასუხისმგებლობა“.

საკმაოდ საინტერესოა ცნობილი ბრიტანელი მსახიობის ჰიუ გრანტის შემთხვევა, რომელიც მიმდინარე წლის 5 თებერვალს მოხდა. ჰიუ გრანტმა ბრიტანული მედია ორგანიზაციისგან ,,UK Mirror Group”, კომპენსაციის სახით, ექვს ნიშნიანი თანხა და საჯარო ბოდიში მიიღო. მსახიობისა და კიდევ 70-ზე მეტი პირის სარჩელი, მედიის მხრიდან მათ მობილურ ტელეფონზე შემოსული ხმოვანი შეტყობინებების გატეხვას და გამოქვეყნებას ეხებოდა. სასამართლოში ,,Mirror Group“-ის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მათ არაკანონიერი გზით მოიპოვეს წვდომა გრანტის პირად მიმოწერებსა და ხმოვან ფოსტაზე. ,,რამდენიმე წლის წინ, ცნობილი სახეების ხმოვან ფოსტაზე შემოსული შეტყობინებები ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა. ამ შეტყობინებებეის მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იყო ჩვენი გაზეთების მასალებში“. გამოცემა ბოდიშს უხდის და დაუშვებლად მიიჩნევს მსგავსი ფაქტის განმეორებას“. ჰიუ გრანტი კი, კომპენსაციის სახით მიღებული თანხით იმ კამპანიას დააფინანსებს, რომელიც მედიის მხრიდან შევიწროებული ადამიანების მხარდასაჭერად წამოიწყეს. (REUTERS, 2018)

გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს უცხოური მედიის კანონმდებლობიდან: (კინწურაშვილი, 2003)

ბელგია - ფაქტები და ინფორმაცია, რომელიც არასწორი აღმოჩნდება, უნდა შესწორდეს შეუზღუდავად და პასუხის გაცემის იურიდიული უფლების დაცვით.

ჩეხეთი - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არაზუსტი აღმოჩნდება დაუყოვნებლივ უნდა შესწორდეს.

დანია - არასწორი ინფორმაცია უნდა გასწორდეს რედაქტორის პირადი ინიციატივით, როგორც კი ცნობილი გახდება გამოქვეყნებულ ინფორმაცაში არსებული შეცდომების შესახებ. შესწორება ისეთი ფორმით უნდა მოხდეს, რომ მკითხველმა იოლად შეამჩნიოს ის.

სლოვაკეთი - თუ ჟურნალისტი აქვეყნებს არაზუსტ, ნახევრადზუსტ, ჰიპოთეტურ თუ არასრულ ინფორმაციას, მან უნდა გამოაქვეყნოს შესწორება ან პირვანდელ პუბლიკაციაზე გამოხმაურება. შესწორება უნდა გამოქვეყნდეს იმავე ფორმით და საუკეთესო შემთხვევაში, იმავე ადგილზე, სადაც არასწორი ინფორმაცია იყო განთავსებული.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგიად გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი - მონაცემთა შინაარსობრივი კონტენტ-ანალიზი, რაც გულისხმობდა იმას, რომ დავაკვირდით სატელევიზო სივრცეში ტრანსლირებულ გადაცემებს და მათი ანალიზის საფუძველზე გამოვავლინეთ თუ რა სიხშირით ხდებოდა ჟურნალისტის მიერ ეთიკური ჩარჩოების დაცვა და ასევე დაკვირდით იმას, თუ როგორ რეაგირებდა საქართველოს ჟურნალისტიკური ეთიკის ქარტიის წარმომადგენლები ეთიკური ნორმების დარღვევის ფაქტზე ან რა რეაქცია და რეაგირება ჰქონდა თავად საზოგადოებას. ასევე მაგალითები ავარჩიეთ მათი მასშტაბურობისა და საზოგადოებისთვის ზიანის მიყენების

არეალიდან გამომდინარე. აღნიშნული მონაცემები მოვიპოვეთ საქართველოს ჟურნალისტიკური ეთიკის ქარტიის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის გაანალიზებით.

ასევე გამოვიყენეთ შემთხვევის ანალიზი, რათა შეგვესწავლა ის კონკრეტული ქეისები ქართულ ტელემედიაში, სადაც ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა და ჟურნალისტიკური ეთიკის ქარტიის პრინციპების დარღვევასა და ხელყოფას. აქცენტს ვაკეთებდით ეთიკური ნორმების დაცვა - არ დაცვის საკითხებზე, რაც გულისხმობს, რომ ის გადაცემები, სადაც ვთვლით, რომ დაირღვა ეთიკური ნორმები, განვიხილეთ დენოტაციურ (ზედაპირულ) და კონოტაციურ (ფარულ) დონეზე.

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული კვლევის მიზანია განვსაზღვროთ თუ როგორ რეაგირებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და მედია-ექსპერტები ქართული მედია სივრცის მიერ ეთიკური სტანტარტების დარღვევაზე, გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი - ფოკუს-ჯგუფი. მისი საშუალებით შევძელით საკითხის სიღრმისეული შესწავლა.

რაც შეეხება ამოცანებს, სასურველი მიზნის მისაღწევად შევეცადეთ განგვესაზღვრა:

- რამდენად ინფორმირებულნი არიან სტუდენტები ეთიკური სტანდარტების დარღვევის ფაქტებზე მედიის მხრიდან.
- რამდენად შეუძლიათ მედიის მხრიდან ეთიკური დარღვევების იდენტიფიცირება.
- რა ცოდნა აქვთ ეთიკური სტანდარტების შესახებ.
- რა ზეგავლენას ახდენს ეთიკური სტანდარტების დარღვევის განსხვავებული მაგალითები მათ ქცევაზე.

შერჩევა მოვახდინეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ოთხივე კურსის სტუდენტებში, ალბათური შერჩევის, კერძოდ მარტივი სისტემური შერჩევის საფუძველზე, რათა ყველა სტუდენტს

ჰქონოდა თანაბარი შანსი კვლევაში მონაწილეობის. მათი რაოდენობა იყო 12, ხოლო ვინაობა ანონიმურია. სტუდენტებს ვაჩვენეთ ის გადაცემები, რომლებშიც ვთვლიდით, რომ დაირღვა ეთიკური ნორმები. აღსანიშნავია, რომ უმრავლეს შემთხვევაში მათი აზრი ემთხვეოდა ჩვენსას, რაც მეტ სანდოობასა და ვალიდურობას მატებს ჩვენ მიერ მოყვანილ ნიმუშებს. სტუდენტების აზრით, საქართველოში ეთიკური ნორმების დაცვა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

ასევე მოვახდინეთ, მონაცემთა მეორეული ანალიზი - ექსპერტთა გამოკითხვა, რაც გულისხმობს იმას, რომ დავეყრდენით მედია ექსპერტების სიღმისეულ ინტერვიუთა ანალიზს, რომელიც 2016 წელს, 1-10 მარტის პერიოდში ჩატარდა: თამარ რუხაძე (ჟურნალისტიკური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი), ნათია კუპრაშვილი (,,რეგიონალურ მაუწყებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი), დავით კლდიაშვილი (ჟურნალისტიკური ეთიკის ქარტის საბჭოს მდივანი, იურისტი), უჩა სეთური (,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მედიის მიმართულების ხელმძღვანელი), თამარ კინწურაშვილი (,,მედიის განვითარების ფონდის“ გამგეობის თავმჯდომარე“)

ლიტერატურის მიმოხილვა

ჩვენი კვლევის ობიექტები ამ შემთხვევაში გახლდათ: სამართლებრივი და ეთიკური რეგულირების დოკუმენტები: ქართული ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ეთიკის კოდექსს და მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, ასევე სხვა საერთაშორისო ჟურნალისტური ქცევისა და ეთიკის კოდექსები და მათი გამოცდილებები, თუმცა უნდა აღინიშნოს შემდეგი ავტორები, რომლებსაც დავეყრდენით კვლევის პროცესში.

კლოდ - ჟან ბერტნარი- ,, ბუნებრივია, რომ „მედიის არასწორი ქცევა“ იმისდა მიხედვით განისაზღვრება, თუ როგორი არის ამა თუ იმ ერის კულტურა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე და არსებული პოლიტიკური რეჟიმი. ის ვერ იქნება იდენტური

კომუნისტურ და ლიბერალურ, არქაულ და ზეთანამედროვე, მუსლიმანურ და ჰედონურ ქვეყნებში, თუმცა კოდექსთა უმრავლესობაში შეიძლება აღმოვაჩინოთ ერთი და იგივე ფუნდამენტური ნორმები. ამის ახსნა შესაძლებელია იმ გავლენიანი ერების კულტურათა ერთიანობით, სადაც პირველი კოდექსები გაჩნდა - აგრეთვე იმ საერთშორისო დიალოგით, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობს. მედია პროფესიონალებს, მეცნიერ მკვლევარებსა და მომხამარებელთა შორის არ არსებობს მკვეთრი აზრთა სხვაობა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქცეოდეს და არ უნდა იქცეოდეს მედია." (ბერტნარი, 2004)

ჯ.ა ჯაქსა და მ.ს პრიჩარდი თავიანთ წიგნში „ანალიზის მეთოდები" ეთიკის კარგ განსაზღვრას გვთავაზობენ. ისინი ამბობენ: „ეთიკა ჩვენი ცხოვრების წესს შეეხება. იგი განიხილავს, რა არის სწორი და მცდარი, სამართლიანი და უსამართლო, კეთილი და ბოროტი, კარგი და ცუდი, პასუხსაგები და არაპასუხსაგები და სხვა." (James A. Jaksa, 1994)

ადამიანის ქცევა არა მხოლოდ მისი ცნობიერებით იზომება, არამედ საზოგადოების, პროფესიული ჯგუფისა და ამ ადამიანის დამქირავებლის მიერ დაწესებული ნორმებითაც. რთულია იმის დადგენა, რა არის ეთიკური, რადგან ადამიანებს „კარგისა" და „ცუდის" განსახვავებული სტანდარტები და აღქმა აქვთ. ეთიკური კონფლიქტების უმრავლესობა არც თეთრია და არც შავი, ისინი უფრო მეტად ნაცრისფერ ზონაში ხვდება.

ადამიანის ღირებულებათა სისტემასაც შეუძლია, განსაზღვროს, როგორ მოიქცევა იგი სპეციფიკურ სიტუაციაში. ფილოსოფოსები ამბობენ, რომ სამი ძირითადი ღირებულება არსებობს:

1. აბსოლუტური - აბსოლუისტს სწამს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება ან „სწორია" ან „მცდარი", მიუხედავად მისი თანმდევი შედეგებისა. იგი ემყარება

იმანუელ კანტის ფილოსოფიას, რომ შედეგს არ შეუძლია, გაამართლოს მისი მიღწევის საშუალებები.

2. ეგზისტენციალური - ეგზისტენციალისტი, რომლის არჩევანიც ღირებულებათა სისტემით არ არის განპირობებული, გადაწყვეტილებას მყისიერი არჩევნის საფუძველზე იღებს. ეს მიდგომა, გარკვეულწილად ემყარება არისტოტელეს მოსაზრებას, რომ ადამიანი უნდა ეძებდეს გამაწონასწორებელ წერტილს, შუა წერტილს ორ უკიდურესობას შორის, სხვა სიტყვები, რომ ვთქვათ, არისტოტელე არ ეთანხმება კანტს და პასუხობს: „არასდროს თქვა არასდროს“.
3. სიტუაციური - სიტუაციონალისტს სწამს, რომ ნებისმერი გადაწყვეტილების საფუძველს ქმნის ის რაღაც, რასაც უმცირესი ზიანისა და უდიდესი სიკეთის მოტანა შეუძლია. ამას ხშორად უტილიტარულ მიდგომასაც უწოდებენ.

   სხვა მიდგომა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო, უბრალოდ, ეთიკის ოქროს წესად იწოდება: „გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“. არსებობს კიდევ ერთი მიდგომა „მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა შენ მოგექცნენ.“

მილის უტილიტარული მიდგომა: მას სჯეროდა, რომ მიზანი იქამდე ამართლებს საშუალებას, ვიდრე მას დიდი სარგებელი და სიკეთე მოაქვს ბევრი ადამიანისთვის. იგი ეთიკაში პოზიტივისტურ მიმართულებად განიხილება, რომლის მიხედვითაც ადამიანის ქმედების ძირითად კრიტერიუმისა და ზნეობრიობის საფუძველს სარგებელი წარმოადგენს. უტილიტარიზმთან დაკავშირებულია ჯერემი ბენთამიც, რომელიც სარგებელს სიამოვნებასთან აიგივებდა და მისი აზრით ზნეობრიობის საფუძველი ადამიანის სწრაფვა წარმოადგენდა, რათა მიეღო მაქსიმალური სიამოვნება, მიზანი კი ამ სიამოვნების მაქსიმალიზაცია საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ინტერესებს შორის ჰარმონიზაციის მიღწევა იყო. შესაბამისად, უტილიტარიზმი ეთიკაში საერთო სიკეთეს ქადაგებს მოქმედების სწორი კურსისა არჩევის შემთხვევაში. (Mill, 2002)

იერემია ბენთამის დეონტოლოგიური მიდგომა, რომელიც მოქმედების შედეგს ამ მოქმედებების მორალური ღირებულების განმსაზღვრელ ფაქტორად არ თვლის და მისი აზრით, ეთიკის ნორმები არც ერთ შეთხვევაში არ უნდა დაირღვეს. იგი ეთიკის იმ მიდგომის ნაწილს გამოხატავს, რომელიც განიხილავს მოვალეობებისა და ჯერარსის პრობლემებს. დეონტოლოგიური ეთიკა გულისხმობს პირის სავალდებულო ქცევის, ცალსახად განმსაზღვრელი, მორალური ნორმების ერთობლიობას, რომელსაც კონკრეტული იმპერიული ხასიათი გააჩნია. ზოგადი ეთიკის ნორმების განსხვავებით, აღნიშნული ნორმები არ იძლევა არჩევანის უფლებას. (Bentham, 2000)

ჩვენი აზრით, აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურა ნათლად გამოხატავს ზოგადად, მედია ეთიკის პრობლემის არსსა და იმის ფორმულირებას, როგორ უნდა დავაბალანსოთ ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფა, ხოლო მეორე კუთხით მედიაში ეთიკური სივრცის შექმნის მიღწევა.

კვლევის შედეგები

ფოკუს ჯგუფის შედეგები ჩვენთვის საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. სტუდენტების განწყობებისა და მიდგომების გასაზომად მათ ვაჩვენეთ რამდენიმე ვიდეო (ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან) და ვთხოვეთ შეეფასებინათ თუ რამდენად ეთიკურად მიაჩნდათ იგი. დისკუსია საკმაოდ აქტიური და ნაყოფიერი აღმოჩნდა. განსაკუთრებული აღშფოთება მათში გამოიწვია 4 თვის გოგონასთვის პირდაპირ ეთერში ყურის გახვრეტამ, ერთმა მათგანმა დედისთვის მეურვეობის ჩამორთმევაც კი მიიჩნია მიზანშეწონილად. სტუდენტებს ასევე ვანახეთ ვიდეო, სადაც ქართული მარშის წარმომადგენლები ჰომოფობიურ განცხადებებს ავრცელებდნენ, ამ შემთხვევაში სტუდენტების მხოლოდ ერთი ნაწილი იყო რადიკალური, 4-მა მათგანმა კი ეთიკურ დარღვევად სულაც არ მიაჩნია, რადგან მათი აზრით ყველა პიროვნებას აქვს აზრის და სიტყვის გამოხატვის უფლება, მათ შორის ჰომოფობიური განცხადებების

შემცვლელისაც. ანტი-ტერორისტულ ოპერაციასთან მიმართებით, მათ აღნიშნეს, რომ რუსთავი 2-ის მიერ პირდაპირ ეთერში სპეცრაზმელების მოქმედებათა გაშუქება ინფორმაციას აწვდიდა დამნაშავეებს, რის გამოც სპეცოპერაციის დასრულება მყისიერ დროში ვერ მოხდა და ამიტომ მათი ეს ქმედება ყოვლად გაუმართლებელი იყო, ,,ალბათ ტერორისტები მდივანზე წამოწოლილები ტელევიზორს უყურებდნენ და გებულობდნენ სპეცრაზმი იმ მომენტში რომელი კორპუსის კართან იდგა" აღნიშნა ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ, თუმცა ორ მონაწილეს განსხვავებული პოზიცია აღმოაჩნდა და განაცხადა, რომ მედიას ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას აქვს უფლება მაყურებელს ინფორმაცია მიაწოდოს, რათა იგი ინფორმაციულ ვაკუუმსა და პანიკაში არ იყოს. რაც შეეხება ,,მარიამ კოჩალიძის საქმეს", ამ შემთხვევაში სტუნდენტების მხრიდან უმეტესად ქსენოფობიური ფრაზები დაფიქსირდა, რადგან ისინი მკვლელის ეროვნულ მიკუთვნებულობაზე ფოკუსირდნენ. ,,ვერ ხედავთ, რა ხდება სირიაში, ევროპაში? მიგრანტები ყოველდღე უამრავ უდანაშაულოს ხოცავენ, მრავალფეროვანი ევროპა აუცილებელია, ოღონდ მრავალფეროვანი და არა სისხლიანი, საზღვრების ჩაკეტვა გარდაუვალია, ჩვენისთანა პატარა სახელმწიფოში მითუმეტეს" განაცხადა ერთ-ერთმა მონაწილემ, განსხვავებული მოსაზრება აღმოაჩნდა მეორე სტუდენტს, რომლის თქმითაც ,,ისლამი ტერორიზმი სულაც არ არის". შედეგად გამოვლინდა, რომ ეთნიკური განსხვავებულობა აშკარად ზემოქმედებს ეთიკურ დარღვევის შეფასებაზე. ზოგადად, როდესაც მათ ვთხოვეთ ქართული ტელემედია და აქ არსებული ეთიკური პრობლემები შეეფასებინათ, მონაწილეთა ნაწილმა ,,მუხთარლის საქმესთან" დაკავშირებული დარღვევენი გაიხსენეს. აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა საზოგადოებრივი მაუწყებელი ქმედითუუნარად მიიჩნიეს, ზოგიერთმა მათგანმა წუხილი გამოთქვა იმის შესახებ, რომ მაუწყებელი მოსახლეობის მიერ ფინანსდება. საბოლოოდ კი, სტუდენტების აზრით, ეთიკური ნორმების დარღვევის პრობლემა საქართველოში საკმაოდ მწვავე და აქტუალურია. ისინი

კონსენსუალურად შეთანხმდნენ, რომ ჟურნალისტების ვალდებულება საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების გარდა, ეთიკის დაცვაა, რამდენიმე სტუდენტმა იდეა გამოთქვა, რომ შესაძლოა რაიმე სანქციები (ფულადი, პროფესიული და ა.შ.) დაწესდეს ჟურნალისტის მიერ დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი თუ უპასუხიმგებლო განცხადებების გავრცელების გამო, მათ მნიშვნელოვნად მიიჩნიეს პოლიტიკური პარტიების და განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაც, რათა ჰარმონიულად მიიღწეს საქართველოში ბალანსირებული მედია.

ჟურნალისტები ხშირად იყენებენ სიძულვილის ენას , მათ ლექსიკაში ხშირად შეინიშნება სხვადასხვა ფობიური თუ დისკრიმინაციის შემცველი ელემენტები. სტატისტიკის მიხედვით, 2016 წელს ქართულ სატელევიზიო სივრცეში ტელეკომპანია ობიექტივის ეთერში ყველაზე მეტჯერ, 67-ჯერ გავიდა სიძულვილის შემცველი სიუჟეტები. (კინწურაშვილი, ანტიდასავლური პროპაგანდა, 2016)

ნებისმიერი ქვეყნის ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ სფეროს, სადაც ჟურნალისტები ყველაზე ხშირად „სცოდავენ“. კერძოდ, ისეთი მასალების გამოქვეყნება, რომლებიც შეურაცხყოფენ ადამიანისა თუ ადამიანთა ჯგუფის რელიგიურ და ზნეობრივ გრძნობებს, მათ რასობრივ თუ ეთნიკურ კუთვნილებას. ფინელი ჟურნალისტების „სამართლიანი ჟურნალისტური პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპების“ თანახმად, „კანის ფერი, ეროვნება, წარმოშობა, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსი, სქესი და სხვა პირადი მახასიათებლები არ უნდა გამოქვეყნდეს, თუ ეს არ არის დაკავშირებული მოცემულ საკითხთან.“ ამ მოთხოვნის ლოგიკა ძალიან მარტივია: ჩვენ თუ ყოველ ჯერზე გავიმეორებთ, რომ ვთქვათ, დანაშაული ჩაიდინა რომელიმე კუთხის ან რომელიმე რელიგიის წარმომადგენელმა, საზოგადოებაში მარტივად გაჩნდება კლიშე, რომ ამ კუთხისა თუ რელიგიის წარმომადგენელთა უმრავლესობა კრიმინალია.

ზემოთაღნიშნულთან მიმართებით, აღსანიშნავია შემდეგი შემთხვევა, როდესაც 2013 წლის 22 ივლისს, ქალაქ ბათუმში იპოვეს გარდაცვლილი 16 წლის მარიამ კოჩალაძე, რომლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი, უცხო ქვეყნის, კერძოდ, ირანის მოქალაქე იყო. გავრცელებულმა ინფორმაციამ მედიაში საფუძველი დაუდო ანტიირანულ და ანტიმუსლიმურ კამპანას, ისლამის მიმართ სიძულვილის გაღივებას. დაიწყო მასალების შემდეგი სათაურებით გამოქვეყნება: „მარიამ კოჩალიძის მკვლელი ტერორისტი იყო?“ (Ambebi.ge, 2013) “მკვლელი ვაჰაბიტია სირიის ოპოზიციიდან, რომელიც თურქეთში რეაბილიტაციას გადიოდა!“ (სააგენტო, 2013) “მოვითხოვთ, არც ერთი ირანელი არ შემოვიდეს საქართველოში... მარიამი წმინდა ქრისტიანი იყო...“ (პალიტრა, 2013)

ტელეკომპანია „იმედის“ სიუჟეტის მიხედვით კი „გარდაცვლილის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ირანის მოქალაქემ, სავარაუდო მკვლელმა, მსხვერპლს ყელი გამოჭრა, რითაც რელიგიური რიტუალი შეასრულა და ადგილიდან მიიმალა, რითაც ,,იმედმა“ დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, 31-ე მუხლის თანახმად: „მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოცალური წარმოშობის საფუძველზე.“ (მაუწყებელი, 2006)

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-8 პრინციპის თანახმად ,,ჟურნალისტი ვალდებულია დაიცვას ბავშვის უფლებები, არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მისთვის. (ქარტია, Qartia.ge, 2009)

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის მეათე თავის, 35-ე მუხლის მიხედვით: (კომისია, http://infocenter.gov.ge, 2009) ,,დაუშვებელია სექსუალური ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის ვინაობის დასახელება ან ისეთი დეტალების ჩვენება,

რაც გაადვილებს არასრულწლოვანი მსხვერპლის იდენტიფიკაციას. მაგალითად, ასეთი დეტალი შეიძლება იყოს მსხვერპლის საცხოვრებელი სახლის, მშობლების ან მეზობლების, სასწავლებლის ჩვენება". თუმცა სამწუხაროდ, ქართულ მედია სივრცეში ხშირია მაგალითები, როდესაც ბავშვების უფლებები ირღვევა, საილისტურაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

საზოგადოებრივ მაუწყებელზე საინფორმაციო გამოშვება ,,მოამბეში" სიუჟეტი გავიდა, რომელიც არასრულწლოვან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე ძალადობის ფაქტს ეხებოდა. სიუჟეტში ჟურნალისტმა ის მუნიციპალიტეტი სადაც ფაქტი მოხდა, ასევე აჩვენა მეზობლების, გოგონას სასწავლებლის ხელმძღვანელის ღია ინტერვიუ და კადრები, აღნიშნული ფაქტის შედეგად, ბავშვი სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ჩავარდა, თვითმკვლელობით იმუქრებოდა, ოთახიდან არ გამოდიოდა და სკოლაში წასვლაზე უარს ამბობდა. აღნიშნულ სიუჟეტში ჟურნალისტმა ცალსახად მოახდინა ბაშვის უფლებების ხელყოფა, რადგან შესაძლებელი გახდა მისი იდენტიფიცირება, მაშინ როდესაც, ბავშვის კეთილდღეობა და ანონიმურობის დაცვა საზოგადოების ინტერესზე მაღლა დგას. (კინწურაშვილი, მედია ეთიკა და პროფესიული სტანდარტები, 2013)

2017 წლის დეკემბერში, ქ.თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობისთვის ბრალდებული არასრულწლოვანის დაკავებისას, ქართული ტელეარხების საინფორმაციო გამოშვებებში გასულ სიუჟეტებში, იდენტიფიცირებული იყო მკვლელობაში ბრალდებული არასრულწლოვანი, კერძოდ „რუსთავი 2-ისა" და „ობიექტივის" ეთერში გასულ სიუჟეებში, ნაჩვენები იყო ბრალდებულის სახე, ხოლო „იმედის" ეთერში დაასახელეს მისი სახელი და გვარი. (ქარტია, 2017)

ქარტიის საბჭო მიიჩნევს, რომ სამივე შემთხვევაში დაირღვა ქარტიის მე-8 პრინციპი, არასრულწლოვანის იდენტიფიცირებით, მით უმეტეს, რომ ჯერ არ არის დადგენილი

ნამდვილად მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ცალსახაა, რომ იგი გახდა კიდევ უფრო მეტი აგრესიის და მომეტებული საფრთხის ობიექტი.

ასევე ქართულ ტელემედიაში ხშირია სიუჟეტები, რომელიც ადამიანებს საკმაოდ მძიმე მორალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს უქმნის, მაგალითად, ანონიმური საქმე (საქართველოს ჟურნალისტური ქარტიის ვებ-გვერდი, ,,ანონიმური საქმე" (ქარტია, Qartia.ge, 2014) ჟურნალისტური ეთიკის პრინციპები დაირღვა ჟურნალისტის მიერ მომზადებულ სიუჟეტში, რომელიც ეხებოდა კონკრეტული ვირუსის მატარებელთა რიცხვის ზრდას. გადაცემის მომზადებამდე, ჟურნალისტი დაუკავშირდა რესპონდენტს, როგორც აღნიშნული ვირუსის მატარებელს და სთხოვა საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება. მოცემული პირი კომენტარს დათანხმდა კონფიდენციალურობის დაცვის წინაპირობით. სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ არ იყო უზრუნველყოფილი რესპონდენტის კონფიდენციალურობა, არ იყო შეცვლილი მისი ხმა და მარტივად შეიძლებოდა მისი იდენტიფიცირება.

ქარტიის მე–6 პრინციპის თანახმად, ჟურნალისტის მორალური პასუხისმგებლობაა, არ გაამჟღავნოს კონფიდენციალურად მოპოვებული ინფორმაციის წყარო. აღნიშნულმა სიუჟეტმა კი დაავადებულ პიროვნება საკმაოდ მძიმე სტრესულ მდგომარეობაში ჩააყენა.

რაც შეეხება მედია ექსპერტების სიღრმისეულ ინტერვიუს, ისინი ფიქრობენ, რომ ბოლო პერიოდში ქართულმა ჟურნალისტიკამ ახალი ამბების სახე მიიღო, სიუჟეტებს ეტყობა, რომ რეპორტიორს მის დამუშავებაზე არ უზრუნია. მათ აღნიშნეს, რომ სიძულვილის ენის გამოყენებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალოდ მაუწყებლობის დირექტორს ან გამოცემის რედქციას. მათ რამდენიმე მედია სტანდარტი დაასახელეს, რომელიც მნიშვნელოვანია ქართულ ტელემედიაში ეთიკური ნორმების დაცვის კუთხით ესენია :

- ინფორმაციის სიზუსტე(მათი აზრით, ინფრომაციის მოპოვების დროს, მთავარი საფრთხე მის სიზუსტესთან დაკავშირებით ჩნდება, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ჟურნალისტმა უამრავი გავრცელებული ინფორმაციდან ღირებული შეარჩიოს და იგი რამდენჯერმე გადაამოწმოს, მოიძიოს ალტერნატიული წყაროები. მათ განსაკუთრებით გამოყვეს სოციალურ ქსელებში გავრცელებყლი ინფორმაციები, რომელიც გადადის ონლაინგამოცემის ვებ-გვერდზე. ექსპერტების მოსაზრებით, იგი უნდა ექვემდებარებოდეს ისეთივე გადამოწმების მეთოდებს, როგორსაც სხვა მედისაშუალება იყენეს.)
- ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნა (ექსპერტების მოსაზრებით, ძალიან ხშირად ჟურნალისტი სიუჟეტის მომზადებისას ან სოციალურ ქსელს ან უშუალოდ პიროვნების სუბიექტურ მოსაზრებებს ეყრდონობა, მოქალაქეებს კი ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნის ვალდებულება არ აქვთ. სწორედ ამიტომ , ძალიან ხშირად აღნიშნული ინფორმაცია არის არა ფაქტი, არამედ მოსაზრება, რომელიც მისი ავტორის აზრით ფაქტია, მაშინ როცა BBC-ის მიხედვით, ,,ფაქტები წმინდათწმინდაა", აუცილებელია ქართველმა ჟურნალისტებმა შეძლონ ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნა, ხოლო გავრცელებულ ინფორმაციაში სიცრუისა და ჭეშმარიტების გარჩევა.)
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა (აღნიშნული თემა მათი აზრით, განსაკუთრებით სენსიტიური და აქტუალურია. აღნიშნული შემთხვევა განსაკუთრებით მაშინ ხდება, მაგალითად, როდესაც მედიასაშუალებები ისეთ ფოტოს იღებენ სოციალური ქსელიდან, სადაც ამბის გმირი მარტო არ არის გამოსახული. მიუხედავად იმისა, რომ ფეისბუქი საჯარო სივრცეა, მედიის პასუხისმგებლობაა კონტექსტის შესაბამისად ფოტოს გამოქვეყნება, ვინაიდან ფოტო ადამიანის პირად საკუთრებას წარმოადგენს და იგი სულაც არ ფიქრობს,

რომ მისი სურათი რომელიმე ტელევიზიის მიერ სიუჟეტში იქნება გამოყენებული). ექსპერტების აზრით, ჟურნალისტის მთავარი მოვალეობა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვაა.

- დისკრიმინაციის წახალისება - მაგალითად, სოციალური ქსელიდან აღებული ინფორმაციის ჟურნალისტურად დამუშავების გარეშე გავრცელებით შესაძლებელია, პირთა გარკვეული ჯგუფის დისკრიმინაცია მოხდეს, რადგან შესაძლოა ამ ინფორმაციის ავტორი თავადვე ახდენდეს ვინმეს დისკრედიტაციას, რადგან მას პოლიტკორექტულობის ვალდებულება არ გააჩნია, ონლაინმედიაში მისი გადმოტანით კი მედია სიძულვილის და დისკრიმინაციის ენის გაღვივებას უწყობს ხელს. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის თანახმად კი აკრძალულია ჟურნალისტის მიერ დისკრიმინაციის წახალისება, პირიქით ჟურნალისტის უფლება საზოგადოების უფლებების დარღვევის ხელყოფაა.)

დასკვნა

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში მედიის მხრიდან ეთიკური ნორმები ხშირად უგულებელყოფილია. ამას მოწმობს ჩვენ მიერ ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შედეგები და ექსპერტთა დასკვნები. ორივე ჯგუფი თანხმდება იმაზე, რომ მთავარი არა თუ რეიტინგი, არამედსაზოგადოებისთვის ზუსტად და ობიექტურად მიწოდებული ინფორმაციაა, რომელიც არ უნდა წონიდეს არც სახელმწიფო და არც საზოგადოებრივ ინტრესებს.

თუმცა იმ პირობებში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში არსებობს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, საკმაოდ რთულია მედიას უკარნახო თუ როგორ მოიქცეს და დაუწესო მას საზღვრები. სწორედ ამიტომ არსებობს თვითრეგულირება, რათა მედია თავად მიხვდეს რა შეიძლება იყოს საზიანო საზოგადოებისა თუ ინდივიდისთვის და რა არა...

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც მოწმობს ყოფილა შემთხვევები, როდესაც ეთერში გასულ სიუჟეტს ინდივიდისთვის, ფსიქოლოგიური და მორალური ზიანი მიუყენებია, უცდია მას თავისმოკვლა, საზოგადოებისგან გარიყულა და ა.შ. უნდა აღინიშნოს, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკი ქარტია, რომელიც საკმაოდ ქმედითუნარიანი ამ კუთხით, ნებისმიერ მოქალაქეს აძლევს შანს შეიტანოს სარჩელი და დაიცვას თავისი უფლებები, მისი მექანიზმები და მიდგომები ნამდვილად ცდილობს ქართულ ტელემედიაში პრობლემების აღმოფხვრას, ვინაიდან იგი ხელს არ უწყობს ქსენოფობიის, ჰომოფობიის და სხვა სახის დისკრიმინაციის წახალისებას. სწორედ ამიტომ აუცილებელია, ქართულმა მედიამ გააცნობიეროს თავისი დანიშნულება და იზრუნოს არა მხოლოდ რეიტინგზე, არამედადამიანთა ჩაგვრისა და სიძულვილის გაღვივების აღკვეთაზე.

და ბოლოს,

- სიზუსტე უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ოპერატიულობა;
- მოვლენების ყოველმხრივ გაწონასწორებული ასახვა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ეკრანზე ეფექტურად გამოჩენა.
- სამართლიანობა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე სენსაცია.

ბიბლიოგრაფია

Alejandro, J. (2010). *Journalizm in the age of social media.* Oxford: University of Oxford.

Bentham, J. (2000). *Deontology or, The Science of Morality.* London: Adamant Media Corporation .

James A. Jaksa, M. S. (1994). *Communication Ethics: Methods of Analysis.* Indiana : Wadsworth Publishing Company.

Laanpere, L. (2013). *Online Hate Speech: Hate or Crime.* Talin: Elsa.

Mcbride, K. (2016). *The New Ethics of Journalism: Principles for the 21st.* India: India University.

Mill, J. S. (2002). *Utilitarianism .* Cambridge: Rice University.

Newman, N. (2011). *Mainstream Media and the Distribution of News in the Age of Social Discovery.* Oxsford: Reuters Institute For The Study Of Journalism.

P.J, P. (2009). *The Limits of Control.* Maryland: University of Maryland.

Tylenol, J. (2013). *Studies, Ethics Case.* New York: Columbia University.

REUTERS. (2018, 02 05). *Reuters.com*. Retrieved from https://www.reuters.com/article/us-britain-hacking-grant/hugh-grant-settles-phone-hacking-claim-against-mirror-newspapers-idUSKBN1FP1UN

Ambebi.ge. (2013, 07 25). *Ambebi.ge*. Retrieved from http://www.ambebi.ge/article/82738-mariam-kochalidzis-mkvleli-teroristi-iyo/

ბერტნარი, ჟ. (2004). *მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები.* თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.

კინწურაშვილი, თ. (2003). *მედია ეთიკა და პროფესიული სტანდარტები.* თბილისი: მედიის განვითარების ფონდი.

კინწურაშვილი, თ. (2013). *მედია ეთიკა და პროფესიული სტანდარტები.* თბილისი: მედიის განვითარების ფონდი.

კინწურაშვილი, თ. (2016). *ანტიდასავლური პროპაგანდა.* თბილისი: მედიის განვითარების ფონდი.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია (2009, 03 12). *http://infocenter.gov.ge.* Retrieved from http://infocenter.gov.ge: http://infocenter.gov.ge/elections2017/Broadcasting-Code-of-Conduct.pdf

კომუნიკაციების ეროვნული კომისია (2009, 03 12). *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება.* Retrieved from http://infocenter.gov.ge: http://infocenter.gov.ge/elections2017/Broadcasting-Code-of-Conduct.pdf

საზოგადოებრივი მაუწყებელი (2006). *საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი.* Retrieved from https://cdn.1tv.ge/app/uploads/2017/11/b80766114bede8515fda6dab805e19e5-1510575523.pdf

კვირის პალიტრა (2013, 07 29). *https://www.kvirispalitra.ge*. Retrieved from https://www.kvirispalitra.ge: https://www.kvirispalitra.ge/justice/18103-mariam-kochalidze-mkvlels-icnobda.html

ჯორბენაძე, ს. ბახტაძე, უ. მაჭარაძე,ზ. (2014). *მედიასამართალი.* თბილისი: ქოლორი.

ქართული საინფორმაციო სააგენტო (2013, 07 25). *http://saqinform.ge*. Retrieved from http://saqinform.ge/news/15353/saqinformma+mariam+kochaliZis+mkvleloba+gushin+diliT+gaxsna%21+mkvleli+vaabitia+siriis+opoziciidan%2C+romelic+TurqeTshi+reabilitacias+gadioda%21+meore+mkvleli+mixeil+saakashvilia%21.html

სეთური, უ. (2015). *პერსონალური კომუნიკაცია.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია (2009, 12 04). *Qartia.ge*. Retrieved from http://qartia.ge: http://qartia.ge/ka/qartia

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია (2013, 05 03). *თავისუფალი პრესის მსოფლიო დღე*. Retrieved from http://qartia.ge: http://qartia.ge/ka/siakhleebi/article/29573-3-maisi-8211-tavisufali-presis-msoflio-dge?image=&image=&image=&image=&image=

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია (2014, 01 25). *Qartia.ge*. Retrieved from http://qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/29502-anonimuri-saqme-

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია (2017, 12 08). *Qartia.ge*. Retrieved from Qartia.ge: http://qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/43527-gadatsyvetileba-saqmeze-nika-gurini-ani-kiknadzis-vasil-dabrundashvilis-da-nodar-meladzis-tsinaaghmdeg

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია (2009). *Qartia.ge.* Retrieved from Qartia.ge: http://qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula